დოქტორანტობის კანდიდატთა საყურადღებოდ!!!

სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი აცხადებს კონკურსს დოქტორანტურაში შემდეგი სადოქტორო კვლევის პროგრამების განსახორციელებლად:

1. „ინსულინმსგავსი ზრდის–1 ფაქტორის და ინსულინის როლი კოლორექტული კიბოს განვითარებაში“

*სამეცნიერო ხელმძღვანელები:* ასოც. პროფესორი ვერა კაპეტივაძე
პროფესორი თეიმურაზ აბულაძე

2. „სისხლში D ვიტამინის შემცველობა და მისი გავლენა სასუნთქი სისტემის დაავადებების განვითარების სიხშირესა და სიმძიმეზე საქართველოში მცხოვრებ ბავშვებში რეგიონალური თავისებურებების გათვალისწინებით. ამ პრობლემის ცნობადობა საქართველოს პოპულაციაში“

*სამეცნიერო ხელმძღვანელი:* ასოც. პროფესორი ქეთევან გოგბერაშვილი

3. „მუხლის ართროფიბროზის სარეაბილიტაციო მართვა კორტიკოსტეროიდით ფონოფორეზისა და სტატიკური პროგრესირებადი მექანიკური დაჭიმვის ერთობლივი გამოყენებით“

*სამეცნიერო ხელმძღვანელები:* ასოც. პროფესორი მარინა მათიაშვილი
ემერიტუსი ელენე (დოდო) ქართველიშვილი

4. „C ჰეპატიტის გავრცელების თავისებურებები ქ. თბილისის მოსახლეობაში და ჩატარებული სამკურნალო-პროფილაქტიკური ღონისძიებების ეფექტიანობა დაავადების ელიმინაციის თვალსაზრისით“

*სამეცნიერო ხელმძღვანელები:* პროფესორი ნინო ვეფხვაძე
პროფესორი თენგიზ ცერცვაძე
*სამეცნიერო კონსულტანტი:* პროფესორი ირაკლი მჭედლიშვილი

კონკურსი მოიცავს:

ა) წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასებას,

ბ) გამოცდას სპეციალობაში და უცხოურ ენაში (ტესტირება, გასაუბრება).

**კონკურსში მონაწილეობის მისაღებად მაძიებელმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:**

1. განცხადება თსსუ–ის რექტორის სახელზე (ივსება ადგილზე);
2. განცხადება (სააპლიკაციო ფორმა) (ივსება ადგილზე);
3. შუამდგომლობა ბოლო სამუშაო ადგილიდან, ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან;
4. უმაღლესი სამედიცინო განათლების და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის/დიპლომის ასლი;
5. სამეცნიერო შრომების სია თანდართული პირველწყაროებით და ქსეროასლებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
6. პირადობის მოწმობის ასლი;
7. CV ან კადრების აღრიცხვის ფურცელი (სურათით და დადასტურებული ბეჭდით);
8. ფოტოსურათის (3×4) ელექტრონული ვერსია.

**საბუთების მიღება იწარმოებს 2019 წლის 27 თებერვლიდან 29 მარტის ჩათვლით** თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ კორპუსში, სამეცნიერო მუშაობის კოორდინაციის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის სამსახურში, ყოველდღე (შაბათ–კვირის გარდა) $10^{00}$–დან $17^{00}$სთ–მდე (შესვენება $13^{15}$–დან $14^{00}$ სთ–მდე).

მისამართი: თბილისი, ვაჟა–ფშაველას 33, III სართული, ოთახი № 313.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამეცნიერო მუშაობის კოორდინაციის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის სამსახურს (ტელ.: 254 24 66, ოთახი № 313).